ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5266885

ნომერი: AR1800454

თარიღი : 25.01.2021

გაცემის თარიღი : 28.01.2021

გაცნობის თარიღი : 29.01.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ყიფშიძე , N 3ბ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რამაზ ჭურაძე პ/ნ 01024075296
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 3 ბ. 33

ნომენკლატურა :

- I კლასი
- საჩრდილობლის მოწყობა
  კორექტირება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:
იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხზე, საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი _
-არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ..ფოტოსურათების pdf ფაილი : როგორც გეცნობათ დამატებით წარმოსადგენია განახლებული, დღეის მდგომარეობით არსებული სიტუაციის ასმახველი ფოტომასალა.
-კორექტირებული ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი : ფოტომონტაჟზე დაიტანეთ მასალა და გაბარიტული ზომები, საპროექტო საჩრდილობელი წარმოადგინეთ საყრდენი დგარების გარეშე, შეთანხმებული ფოტომონტაჟის მსგავსად. თუ კონსტრუქციულად ვერ ხერხდება საჩრდილობლის განთავსება ფასადზე წარმოადგინეთ შესაბამისი შემცირებული გაბარიტების საჩრდილობელი.
-თქვენს მიერ ამჯერად წარმოდგენილია ორი ფართის ამონაწერი, 01.14.14.003.068.01.01.004-ის და N 01.14.14.003.068.01.01.505-ის. იმ შემთხვევაში თუ N 01.14.14.003.068.01.01.505 კოდით რეგისტრირებული ფართიც წარმოადგენს საპროექტოს ელისო ბოკუჩავას მიერ გაცემული მინდობილობა 01.14.14.003.068.01.01.505 ფართზე წარმომადგენლობას არ ითვალისწინებს და ამ ნაწილშიც წარმოადგინეთ მესაკუთრის მიერ გაცემული მინდობილობა, ან თანხმობა სანოტარო წესით დამოწმებული.
აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.
თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.